



MES 5 20 0000577694



08/07/2020

### სააპელაციო საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

სხდომის ჩატარების თარიღი 03/07/2020

სხდომის დაწყების დრო 20:00სთ

სხდომის დამთავრების დრო 20:15 სთ

საბჭოს თავმჯდომარე - ნინო ოკრიბელაშვილი

საბჭოს მდივანი - დავით ჭეიშვილი

#### სააპელაციო საბჭოს (შემდგომში - საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

**ნინო ოკრიბელაშვილი** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, მედიცინის ფაკულტეტის პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარე;

**თამარ მამსიკაშვილი** - სსიპ - ქალაქ თბილისის N64 საჯარო სკოლის დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

**დავით ჭეიშვილი** - სსიპ - ვაჟა-ფშაველას სახელობის ქალაქ თბილისის N87 საჯარო სკოლის დირექტორი - საბჭოს მდივანი;

**თამარ ვეფხვაძე** - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებში კონსულტანტი, ფილოლოგიის დოქტორი;

**მანანა სამხარაძე** - სსიპ - ქალაქ თბილისის N220 საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი;

**ნინო კეკელიძე** - შპს „აღმოაჩინე საქართველოს“ დირექტორი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე სააპელაციო საბჭოს სხდომის ჩატარება მოხდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღოთ მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

#### სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

| № | სახელი, გვარი | სტატუსი |
|---|---------------|---------|
|---|---------------|---------|

|   |            |   |
|---|------------|---|
| 1 | ანა ლელაძე | უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს კოორდინატორი |
|---|------------|---|

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 28<sup>5</sup> მუხლის მე-5 პუნქტის, შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი, მაგრამ არანაკლებ 3 წევრისა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 28<sup>7</sup> მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

### სხდომის დღის წესრიგის პროექტი

1. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის „ქრისტიანობის ისტორიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ სააპელაციო საჩივრის მიღების ან განხილვაზე უარის თქმის შესახებ საკითხის განხილვა;
2. შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუს "საბანკო საქმის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრის მიღების ან მიღებაზე უარის თქმის შესახებ საკითხის განხილვის შესახებ სააპელაციო საბჭოს 2020 წლის 16 ივნისის №471308 სხდომის ოქმში ტექნიკური შეცდომის გასწორების საკითხის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

✓ არა

### დამტკიცებული სხდომის დღის წესრიგი

1. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის „ქრისტიანობის ისტორიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ სააპელაციო საჩივრის მიღების ან განხილვაზე უარის თქმის შესახებ საკითხის განხილვა.
2. შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუს "საბანკო საქმის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრის მიღების ან მიღებაზე უარის თქმის შესახებ საკითხის განხილვის შესახებ სააპელაციო საბჭოს 2020 წლის 16 ივნისის №471308 სხდომის ოქმში ტექნიკური შეცდომის გასწორების საკითხის განხილვა.

**1.პირველი საკითხი** - ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის „ქრისტიანობის ისტორიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ სააპელაციო საჩივრის მიღების ან განხილვაზე უარის თქმის შესახებ საკითხის განხილვა;

| №  | ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ  |                      |
|----|---|----------------------|
| 1. | საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება  | ქრისტიანობის ისტორია |
| 2. | უმაღლესი განათლების საფეხური  | დოქტორანტურა         |
| 3. | კვალიფიკაციის დონე  | მერვე                |
| 4. | სწავლების ენა   | ქართული              |
| 5. | ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა  | 180                  |
| 6. | საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი | 06/03/2020           |

### საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცხეობა

✓ არა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ სააპელაციო საჩივარს და თანდართულ დოკუმენტაციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

### ზეპირი მოსმენა

ცენტრის წარმომადგენელმა განმარტა, რომ პროცედურულად დაწესებულების მიერ სააპელაციო საჩივრის ცენტრში წარმოდგენის შემდგომ, სააპელაციო საბჭო იღებს გადაწყვეტილებას, მიღებულ იქნას თუ არა სააპელაციო საჩივარი განსახილველად ან უარი განაცხადოს განხილვაზე. საჩივრის მიღების წინაპირობები დეტალურად არის განმარტებული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნდამტკიცებულ ბრძანებაში „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“. იმ შემთხვევაში თუ საჩივარი აკმაყოფილებს დადგენილ ფორმალურ მოთხოვნებს, საჩივარი როგორც წესი მიიღება განსახილველად. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სააპელაციო საჩივარი ეხება „ქრისტიანობის ისტორიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას, რომელსაც 2020 წლის 28 თებერვალს უარი ეთქვა აკრედიტაციის მინიჭებაზე.

სააპელაციო საბჭოს წევრებმა განიხილეს დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სააპელაციო საჩივარი. დაადგინეს, რომ საჩივარი შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ დადგენილ მოთხოვნებს. შესაბამისად საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის „ქრისტიანობის ისტორიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრის მიღების საკითხი.

## კენჭისყრის შედეგები

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

**2. მეორე საკითხი** - შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუს "საბანკო საქმის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრის მიღების ან მიღებაზე უარის თქმის შესახებ საკითხის განხილვის შესახებ სააპელაციო საბჭოს 2020 წლის 16 ივნისის №471308 სხდომის ოქმში ტექნიკური შეცდომის გასწორების საკითხის განხილვა.

### საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცხევა

✓ კი

საბჭოს წევრმა, ნინო კველიძე განაცხადა, რომ გახლავთ კომპანია შპს "აღმოაჩინე საქართველოს" დირექტორი. მისი კომპანია აქტიურად თანამაშრომლობს შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუსთან. ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით ვერ მიიღებს მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღების და კენჭისყრის პროცესში.

ცენტრის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სააპელაციო საბჭოს 2020 წლის 16 მაისის №471308 ოქმის მესამე საკითხის ზეპირი მოსმენის აღწერილობით ნაწილის პირველ აბზაცში ფიქსირდება ტექნიკური ხარვეზი. აღსანიშნავია, რომ მესამე საკითხი ეხება შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუს "საბანკო საქმის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრის მიღების ან მიღებაზე უარის თქმის შესახებ საკითხს. ზეპირი მოსმენის აღწერილობით ნაწილის პირველ აბზაცში შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუს ნაცვლად მითითებულია შპს საქართველოს უნივერსიტეტი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუს "საბანკო საქმის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრის მიღების ან მიღებაზე უარის თქმის შესახებ საკითხის განხილვის შესახებ სააპელაციო საბჭოს 2020 წლის 16 ივნისის №471308 სხდომის ოქმში ტექნიკური შეცდომის გასწორების შესახებ საკითხი.

სააპელაციო საბჭოს 2020 წლის 16 ივნისის №471308 სხდომის ოქმის მესამე საკითხის ზეპირი მოსმენი აღწერილობითი ნაწილის პირველი აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"ცენტრის წარმომადგენელმა განმარტა, რომ პროცედურულად დაწესებულების მიერ სააპელაციო საჩივრის ცენტრში წარმოდგენის შემდგომ, სააპელაციო საბჭო იღებს გადაწყვეტილებას, მიღებულ იქნას თუ არა სააპელაციო საჩივარი განსახილველად ან უარი განაცხადოს განხილვაზე. საჩივრის მიღების წინაპირობები დეტალურად არის განმარტებული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნდამტკიცებულ ბრძანებაში „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“. იმ შემთხვევაში თუ საჩივარი აკმაყოფილებს დადგენილ ფორმალურ მოთხოვნებს, საჩივარი როგორც წესი მიიღება

განსახილველად. შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის სეუს მიერ წარმოდგენილი სააპელაციო საჩივარი ეხება „საბანკო საქმის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას, რომელსაც 2020 წლის 24 მარტს უარი ეთქვა აკრედიტაციის მინიჭებაზე."

## კენჭისყრის შედეგები

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

## გადაწყვეტილება

სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილებით საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, სააპელაციო საბჭოს 2020 წლის 16 ივნისის №471308 სხდომის ოქმის მესამე საკითხის ზეპირი მოსმენის აღწერილობითი ნაწილის პირველ აბზაცში განხორციელდეს ტექნიკური შეცდომის გასწორება.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული  
ცენტრი  
სააპელაციო საბჭო  
საბჭოს თავმჯდომარე  
ოკრიბელაშვილი ნინო

ნ. თეთრაძე

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული  
ცენტრი / სააპელაციო საბჭო  
მდივანი  
ჭეიშვილი დავით

